ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1897796

ნომერი: AR1306658

თარიღი : 03.05.2015

გაცემის თარიღი : 05.06.2015

გაცნობის თარიღი : 05.06.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკადემქალაქის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ორგანიზაცია:

- ფლექს არქიტექტურა კოდი: 4049201216

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-

17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1306658 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.10.13.040.089) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის საკრებულოს 28 აპრილის #48 დადგენილებით მოწონებულ იქნა, ქ. თბილისში ვაკე–საბურთალოს რაიონში მდებარე „აკადემქალაქის“ და მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც მთლიანი გეგმის არეალის მასშტაბით მითითებული ფერდობი წარმოადგენს გამწვანებულ სარეკრაციო ბუფერულ ზონას, თქვენს საკუთრებაში არსებული საკადასტრო ერთეულის და მის მომიჯნავე ტერიტორიასთან ერთად.

შემდგომში, ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 14 ნოემბრის #75 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოაღნიშნული დადგენილება.

დღეის მდგომარეობით მოცემულ ტერიტორიაზე ახალი განაშენიანების რეგულირების გეგმა არ შეთანხმებულა. ასევე გაცნობებთ, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორიის 80% განაშენიანებულია ზემოაღნიშნული გრგ–ს მიხედვით, შესაბამისად თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია წარმოადგენს აკადემქალაქის საზოგადოებრივ–საქმიანი ზონის სარეკრეაციო ნაწილს. ასევე მოგახსენებთ, რომ თქვენს საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მრავალწლოვანი ხე–ნარგავებით გაშენებულ ფერდობს, რომელიც ქალაქის ამ ნაწილისთვის მნიშვნელოვან სარეკრეაციო ფუნქციას ასრულებს და თავისი მწვანე მასით აბალანსებს მიმდებარედ მაღალი ინტენსივობით გადატვირთულ განაშენიანებას.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.